საკითხავი ბავშვებისთვის

ბავშვები და მშვიდობიანი შეკრების უფლება

მომზადებულია სოფო მენაბდიშვილის მიერ

ბავშვებს აქვთ გაერთიანების შექმნის და მშვიდობიანი შეკრების უფლება

ყველა ადამიანს მსოფლიოში, მათ შორის **ბავშვებს**, უფლება გაქვთ შეიკრიბოთ, დაგეგმოთ და მონაწილეობა მიიღოთ საპროტესტო აქციებში თქვენთვის საინტერესო საკითხების გარშემო. შეკრების თავისუფლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თქვენი დემოკრატიული, სოციალური და პიროვნული განვითარებისთვის, იდეების გამოხატვისა და ხელშეწყობისთვის.[1]

ბავშვების მშვიდობიანი შეკრების უფლება არის ადამიანის ფუნდამენტური უფლება, რომელიც აღიარებულია დემოკრატიის ერთ-ერთ საფუძვლად. შეკრების თავისუფლება დაცულია საერთაშორისო კანონებით.

მშვიდობიანი შეკრების უფლებაზე საუბარია ბავშვის უფლებათა **კონვენციის** მე-15 მუხლში. ყველა ქვეყანა, რომელიც მიერთებულია კონვენციას, აღიარებს ბავშვის უფლებას, სარგებლობდეს მშვიდობიანი შეკრებების თავისუფლებით.

საქართველოში ბავშვების მიერ მშვიდობიანი შეკრებებში მონაწილეობის უფლებას ბავშვის უფლებათა კოდექსი ადგენს. კოდექსის მე-17 მუხლით „საქართველოში ყველა ბავშვს აქვს უფლება, გაერთიანდნენ და მიიღონ მონაწილეობა მშვიდობიან შეკრებაში“.

1. FREE AND SAFE TO PROTEST POLICING ASSEMBLIES INVOLVING CHILDREN, UNICEF, 2020, p – 17.

რას ნიშნავს მშვიდობიანი შეკრება

შეკრება არის აზრის კოლექტიურად, ჯგუფურად გავრცელების ერთ-ერთი გზა და **გამოხატვის თავისუფლების** გაგრძელებას წარმოადგენს.

შეკრების დროს არ შეიძლება დაწესდეს რაიმე შეზღუდვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს აუცილებელია ქვეყნის, მოქალაქეების უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის. ასევე, შესაძლოა, ეს შეზღუდვა დაწესდეს მოსახლეობის ჯანმრთელობის და სხვა პირთა უფლებების დაცვისთვის.

გახსოვდეს, რომ შეზღუდვის (შეკრების აკრძალვის) დაწესება აუცილებლად უნდა მოხდეს კანონიერად.

უნდა გვახსოვდეს, რომ ქვეყანამ (მთავრობამ და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებმა) საჯარო სივრცეში შეკრების დროს, მშვიდობიანი პროტესტის გამოხატვისას უნდა უზრუნველყონ ბავშვებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა და განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინონ და დამატებითი ღონისძიებები დაგეგმონ ბავშვების უსაფრთხოების დასაცავად.

გაეროს ბავშვთა ფონდის განმარტებებით [2]

- მშვიდობიანი შეკრების ჩატარებისთვის აუცილებელია სამართალდამცავმა უწყებებმა პატივისცემით მოეპყრონ ბავშვებს, მოუსმინონ და სერიოზულად მიიღონ ისინი.
- შეკრებების დროს პოლიციის საერთო მიზანი საზოგადოებრივი წესრიგისა და სხვა ადამიანების უსაფრთხოების დაცვის პარალელურად უნდა იყოს ბავშვების დაცვა და შეკრების სრულფასოვნად ჩატარების ხელშეწყობა;
- აუცილებელია სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს ჰქონდეთ ბავშვებთან აქტიური, მშვიდი და მეგობრული კომუნიკაცია, რაც ხელს შეუწყობს მშვიდობიანი შეკრებას და ძალადობის შემცირებას.

გამოხატვის თავისუფლება - ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლების უფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, ჰქონდეს მოსაზრებანი და მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ჩარევის გარეშე და რაიმე საზღვრების მიუხედავად.

სამართალდამცველებმა უნდა განასხვავონ ძალადობაში ჩართული პირები და ის მოზრდილები და ბავშვები, რომელთაც სურთ მშვიდობიანი შეკრება

2. REE AND SAFE TO PROTEST POLICING ASSEMBLIES INVOLVING CHILDREN, UNICEF, 2020, p – 12

გახსოვდეს!

თუ გადაწყვეტ შეკრებას და რაიმე აზრის საჯაროდ გავრცელებას, ამ დროს მოქმედებს სპეციალური კანონი - საქართველოს კანონი **„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ".** ეს კანონი განსაზღვრავს შეკრებას, როგორც, მოქალაქეთა ჯგუფის შეკრებას შენობაში ან გარეთ, მიტინგს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით. ეს განმარტება ვრცელდება ბავშვებზეც.

შეკრება უნდა ემსახურებოდეს აზრის გამოხატვას, ინფორმაციის, აზრის გაზიარებას და ემსახურება კონკრეტული იდეის გავრცელებას. ის შეიძლება იყოს დაგეგმილი ან იმწუთიერად დაგეგმილი. გარდა ამისა, შეკრების უფლება მოიცავს შეკრების ადგილის არჩევას, შეკრებისას აზრის სხვადასხვა ფორმითა და საშუალებით გამოხატვას.

დაიმახსოვრეთ!

- შეგიძლიათ შეიკრიბოთ და მოაწყოთ საპროტესტო აქცია წინასწარი ნებართვის გარეშე. აუცილებელია, სახელმწიფოს წინასწარი გაფრთხილება /ინფორმირება, თუ შეკრება ხალხის ან ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება. ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო ნებართვას გასცემს შეკრებისთვის, მათ შორის, ბავშვებისთვისაც. მას მხოლოდ ინფორმაციას აწვდით.

- შეკრებისას გზისა და სავალი ნაწილის გადაკეტვა შესაძლებელია, თუკი ამ შეკრებაზე დიდი რაოდენობის ხალხია.

- არ შეიძლება ბავშვის მონაწილეობა ისეთ შეკრებაში, რომელიც ემსახურება ნარკოტიკული საშუალებების ანაზარტული თამაშების მოხმარების პოპულარიზაციას, მასში მონაწილეობა არ შედის ბავშვის საუკეთესო ინტერესებში.

იცოდეთ თქვენი უფლებები!

- შეგიძლია შენი აზრი ქუჩაში მშვიდობიანად გაიტანო
- სამართალდამცველებმა ხელი უნდა შეუწყონ და არ შეზღუდონ საჯარო შეკრება;
- მშვიდობიანი საპროტესტო აქციების დროს, პოლიციამ არ უნდა დაარბიოს აქციის მონაწილეები;
- თუ დაშავებული ხარ, გაქვს უფლება, რომ გადაუდებელი სასწრაფო დახმარება აღმოგიჩინონ;
- დაკავების დროს მოითხოვე განგიმარტონ რისთვის გაკავებენ, ასევე დაკავების შემდეგ სახელმწიფო ვალდებულია დაგინიშნოს ადვოკატი.
- თუ თქვენი უფლებები დაარღვიეს, მიმართეთ უფლება დამცველებს და გაასაჩივრეთ უკანონო ქმედებები.

თუ გაქვს კითხვები, ან დაგჭირდება იურიდიული დახმარება შეკრების დროს ან თუ ჩათვლი, რომ შენი უფლებები ირღვევა:

დარეკე ამ ნომრებზე:

ბავშვთა დახმარების ცხელი ხაზი – 111

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცხელი ხაზი - 112 (პოლიცია, სასწრაფო სამედიცინო დახმარება, სახანძრო)

იურიდიული დახმარების სამსახური (ადვოკატი) – 1485

სახალხო დამცველი - 1481

არასამთავრობო ორგანიზაცია
პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის - 032 233 13 56

ან მოგვწერე ფეისბუქ გვერდზე
HTTPS://WWW.FACEBOOK.COM/PHR.HUMANRIGHTS.

დოკუმენტი მომზადდა პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის - PHR მიერ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით.

პუბლიკაციის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის - PHR და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებას.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST-WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

პარტნიორობა
ადამიანის უფლებებისთვის